

## სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	შესავალი ლექსიკოგრაფიაში
სასწავლო კურსის (მოდულის) კოდი	-
სასწავლო კურსის სტატუსი	არჩევითი კურსი ანგლისტიკის მიმართულების ბაკალავრიატის მეორე და მესამე კურსის სტუდენტებისათვის
ECTS	<p>5 კრედიტი (125 საათი) სალექციო – 15 სთ</p> <p>ჯგუფური მუშაობა – 15 (მათ შორის შუალედური გამოცდის ჩატარების – 1 სთ)</p> <p>შუალედური გამოცდისთვის მომზადება – 4</p> <p>საბოლოო გამოცდისთვის მომზადება – 9</p> <p>საბოლოო გამოცდის ჩაბარება – 3 სთ.</p> <p>ლექცია-სემინარებისთვის მომზადება – 79 სთ.</p>
ლექტორი (ლექტორები)	<p>ასოცირებული პროფესორი თინათინ მარგალიტაძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ანგლისტიკის მიმართულება, ლექსიკოგრაფიული ცენტრის სამეცნიერო ხელმძღვანელი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია: ტელ: 890 269555 (სამს) 2 37 37 18 (ბინა) ელ. ფოსტა: <a href="mailto:tinatin@margaliti.ge">tinatin@margaliti.ge</a></p>
სასწავლო კურსის მიზნები	<p>სასწავლო კურსი “შესავალი ლექსიკოგრაფიაში” სტუდენტებს აცნობს ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორიას, ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის განვითარებას და ძირითად ეტაპებს; ლექსიკოგრაფიის ძირითად მიმართულებებს. განხილული იქნება თსუ ლექსიკოგრაფიულ ცენტრში შექმნილი დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და მისი ისტორია; ლექსიკოგრაფიის მდგომარეობა თანამედროვე საქართველოში; სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები; ინგლისური და ქართული ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორია. სტუდენტები გაეცნობიან ინგლისური ენის განმარტებით ლექსიკონებს: ოქსფორდის ოცტომეულ ლექსიკონს, ვებსტერის დიდ ლექსიკონს, ახალი თაობის სასწავლო ლექსიკონებს, ელექტრონულ ლექსიკოგრაფიას.</p>

სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობები	სასწავლო კურსს შესწავლის წინაპირობები არ გააჩნია.
სასწავლო კურსის ფორმატი	ლექცია/სემინარი/(15), შუალედური შემოწმება (1), პრეზენტაცია.
სასწავლო კურსის შინაარსი	იხ. დანართი 1.
შეფასება	<p><b>1. დასწრება 10 ქულა</b></p> <p><b>2. შუალედური შემოწმება 20 ქულა</b>  (ტარდება წერითი შუალედური შემოწმება. სტუდენტს ეძლევა ორი საკითხი, თითოეული ფასდება 10 ქულით; <b>9-10 ქულა:</b> პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; <b>7-8 ქულა:</b> პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა; <b>5-6 ქულა:</b> პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები; <b>3-4 ქულა:</b> პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღინიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა);</p> <p><b>3. სემინარი-პრეზენტაცია 30 ქულა</b>  (სტუდენტმა უნდა ჩააბაროს 15 თემა, თითოეული ფასდება 2 ქულით. სტუდენტის შეფასებისას მნიშვნელობა ექცევა საკითხის ცოდნას, ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის დამუშავებას, საკითხის გადმოცემის უნარს, მეტყველების კულტურას, ანალიზისა და სინთეზის უნარს; სტუდენტმა ასევე უნდა მოამზადოს 1 ან 2 პრეზენტაცია შეთავაზებული თემატიკიდან);</p> <p><b>4. საბოლოო გამოცდა 40 ქულა (წერა)</b>  (სტუდენტს ეძლევა 2 საკითხი. თითოეული საკითხი ფასდება 20 ქულით. <b>18-20 ქულა:</b> პასუხი სრულია; საკითხი ზუსტად და ამომწურავად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია დაცულია. სტუდენტი ზედმიწევნით კარგად ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას, ღრმად და საფუძვლიანად აქვს ათვისებული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ლიტერატურა; <b>14-17 ქულა:</b> პასუხი სრულია, მაგარამ შეკვეცილი; ტერმინოლოგიურად გამართულია; საკითხი ამომწურავად არის გადმოცემული; არსებითი შეცდომა არ არის; სტუდენტი კარგად</p>

	<p>ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ განვლილ მასალას; ათვისებული აქვს ძირითადი ლიტერატურა; <b>9-12 ქულა:</b> პასუხი არასრულია; საკითხი დამაკმაყოფილებლად არის გადმოცემული; ტერმინოლოგია ნაკლოვანია; სტუდენტი ფლობს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას, მაგარამ აღნიშნება მცირეოდენი შეცდომები; <b>6-8 ქულა:</b> პასუხი არასრულია; ტერმინოლოგია მცდარია; საკითხის შესაბამისი მასალა გადმოცემულია ნაწილობრივ; სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა; აღნიშნება რამდენიმე არსებითი შეცდომა).</p> <p>სტუდენტის შეფასებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ფაქტობრივი მასალის ფლობას, არამედ მასალის კრიტიკული ანალიზის უნარს.</p> <p>საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: 20 ქულა</p>
სავალდებულო ლიტერატურა	<p>თ. მარგალიტაძე, “შესავალი ლექსიკოგრაფიაში”, ელექტრონული სალექციო კურსი:</p> <p>Margaliti.com;</p> <p>სალექციო კურსში განთავსებულია დამატებითი საკითხავი მასალა სტუდენტებისათვის</p> <p>ვებ-გვერდი: <a href="http://www.margaliti.ge">www.margaliti.ge</a></p>
დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	<ol style="list-style-type: none"> <li>1. A. P. Cowie, English Dictionaries for Foreign Learners, A History. Oxford University Press, 2007;</li> <li>2. ალ. ღლონტი, ქართული ლექსიკოგრაფიის საკითხები, თბილისი, 1983 წელი;</li> <li>3. Актуальные проблемы лексикографии. М.. 1998;</li> </ol> <p>მითითებული ლიტერატურა წარმოდგენილია ლექსიკოგრაფიული ცენტრის ბიბლიოთეკაში</p>
სწავლის შედეგები	<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p> <p>ამ კურსის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტს უნდა შეეძლოს: ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის, ფართო აღქმა, აღნიშნული დარგის კომპლექსური საკითხების გაცნობიერება. აღნიშნული მოიცავს: ზოგად ცოდნას ლექსიკოგრაფიის ისტორიისა და ინგლისური და ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორიის შესახებ; ლექსიკოგრაფიის ფუნქციებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ; თანამედროვე ქართული ლექსიკოგრაფიის მდგომარეობას; სხვადასხვა ტიპის ლექსიკონებს (ბეჭდურს, ელექტრონულსა და ონლაინ-ვერსიებს), ენციკლოპედიებს, თეზაურუსებს; ლექსიკონში სიტყვა-სტატიის წარმოდგენის პრინციპებს. სტუდენტს ასევე უნდა ჰქონდეს ლექსიკოგრაფიასთან დაკავშირებული პრობლემების,</p>

	<p>ძირითადი თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების უნარი.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b>  უპირველეს ყოვლისა, სტუდენტი ეცნობა ინფორმაციის მოძიების საიმედო და კომპეტენტურ წყაროებს და აცნობიერებს ინფორმაციის სწორი და ავტორიტეტული წყაროებიდან მოძიების უდიდეს მნიშვნელობას; სწავლობს ლექსიკონებში წარმოდგენილი მრავალმხრივი ინფორმაციის სწორად ამოკრეფას. სტუდენტი ასევე ეჩვევა პრაქტიკული ხასიათის პროექტზე მუშაობას ლექსიკოგრაფიასთან დაკავშირებული პრობლემატიკის ფარგლებში, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.</p> <p><b>დასკვნის უნარი</b>  ლექსიკოგრაფიული მონაცემების შეგროვება და განმარტება, მათი ანალიზი სტანდარტული მეთოდების გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.</p> <p><b>კომუნიკაციის უნარი</b>  ლექსიკოგრაფიულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების წერილობითი ფორმით ჩამოყალიბება და მისი ზეპირად გადაცემა სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ქართულ და ინგლისურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენებით.</p> <p><b>სწავლის უნარი</b>  საკუთარი სწავლის პროცესის თანამიმდევრულად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.</p> <p><b>ღირებულებები</b>  თანამედროვე ქართული ლექსიკოგრაფიის, განსაკუთრებით ორენოვანი ლექსიკოგრაფიის წინაშე მდგარი პრობლემების გადაწყვეტის საქმეში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი; ლექსიკოგრაფიისა და ლექსიკონების მნიშვნელობის პროპაგანდაში საკუთარი წვლილის შეტანის უნარი.</p>
<p>სწავლებისა და სწავლის მეთოდები</p>	<p>სასწავლო პროცესი ითვალისწინებს: 15 ინტერაქტიული ლექცია (დასწრება ფასდება 10 ქულით), სემინარი/პრეზენტაცია (ფასდება 30 ქულით) შუალედური შემოწმება (20 ქულა). ლექციასა და სემინარზე გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ვერბალური, დემონსტრირების, ახსნა-განმარტების, დისკუსიის, სტუდენტის ფონისეული ცოდნის აქტივაციის, პრობლემაზე ორიენტირებული სწავლების. აღნიშნული მეთოდების გამოყენება თავისთავად გულისხმობს ანალიზისა და სინთეზის, დედუქციისა და ინდუქციის სტრატეგიების გამოყენებას. სასწავლო პროცესში ჩართულია ელექტრონული სასწავლო კურსები / მასალები.</p>

სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები	ინტერნეტისა და კომპიუტერის საბაზისო ცნებებისა და პროგრამების ცოდნა

დანართი 1

სასწავლო კურსის შინაარსი

N	ლექციის/სემინარის თემა	ლიტერატურა (შესაბამისი მითითებით)	გვერდების
1	ლექცია /სემინარი– ლექსიკოგრაფიის რაობა; ლექსიკოგრაფიის ფუნქციები; პრაქტიკული ლექსიკოგრაფია; თეორიული ლექსიკოგრაფია; ზოგადი ლექსიკოგრაფია; სპეციალიზებული ლექსიკოგრაფია; ლექსიკოგრაფიის, როგორც დარგის აღმოცენება – პროტო ლექსიკონები (აქადურ-შუმერული ლექსიკონი); ლექსიკოგრაფიის განვითარება საბერძნეთში; აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა პირველი ლექსიკონები.	ელექტრონული კურსი: ლექცია 1 www.margaliti.com	სალექციო
2	ლექცია/სემინარი – ლექსიკოგრაფიის განვითარება ევროპის ქვეყნებში. ბაბილონის გოდოლის თემა და მისი გავლენა ლექსიკოგრაფიის განვითარებაზე ევროპის ქვეყნებში. ევროპული ლექსიკოგრაფიის განვითარების ძირითადი ეტაპები.	ელექტრონული კურსი: ლექცია 2 www.margaliti.com	სალექციო
3	ლექცია/სემინარი – განმარტებითი ლექსიკონები; ინგლისური და ქართული ენების ძირითადი განმარტებითი ლექსიკონები;	ელექტრონული კურსი: ლექცია 3 www.margaliti.com	სალექციო
4	ლექცია/სემინარი – ორენოვანი ლექსიკონები; დიდი ინგლისურ-ქართული ლექსიკონი და მისი ისტორია	ელექტრონული კურსი: ლექცია 4 www.margaliti.com	სალექციო
5	ლექცია/სემინარი – სიტყვა-სტატიის აგების	ელექტრონული	სალექციო

	პრინციპები განმარტებით და თარგმნით ლექსიკონებში; დროისმიერი, ადგილისმიერი, სტილისტური და სხვა ტიპის კვალიფიკაციები ლექსიკონებში.	კურსი: ლექცია 5 www.margaliti.com
6	ლექცია 7 – თანამედროვე ინგლისური ენის სასწავლო ლექსიკონები; ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონების შედგენის პრინციპების შეპირისპირებითი ანალიზი;	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 6 www.margaliti.com
	შუალედური შემოწმება	
7	ლექცია/სემინარი – ინგლისური ლექსიკოგრაფიის მოკლე ისტორია და ძირითადი ეტაპები.	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 7 www.margaliti.com
8	ლექცია/სემინარი-ნორმალიზაციისა და სიზუსტის ეპოქა ინგლისში. სამუელ ჯონსონის ლექსიკონი; ოქსფორდის დიდი ოცტომიანი ლექსიკონი ისტორიულ პრინციპებზე; ნოა ვებსტერი; ვებსტერის ლექსიკონები.	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 7 www.margaliti.com
9	ლექცია/სემინარი -ქართული ლექსიკოგრაფიის მოკლე მიმოხილვა; სულხან-საბას სიტყვის კონა; ძმები ჩუბინაშვილების რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული ლექსიკონები; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი არნ. ჩიკობავას საერთო რედაქტორობით; რუსულ-ქართული დარგობრივი ლექსიკონები;	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 8 www.margaliti.com
10, 11	ლექცია/სემინარი – ქართული ლექსიკოგრაფიის მოკლე მიმოხილვა; ორენოვანი ლექსიკოგრაფიის ისტორია; ინგლისურ-ქართული ლექსიკოგრაფიის ისტორია; თანამედროვე ქართული ლექსიკოგრაფიის მდგომარეობა	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 8 www.margaliti.com www.margaliti.ge
12	ლექცია/სემინარი - ფრაზეოლოგიური ლექსიკონები (განმარტებითი და თარგმნითი); სინონიმების ლექსიკონები; ორთოგრაფიული ლექსიკონები; უცხო სიტყვათა ლექსიკონები;	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 9 www.margaliti.com
13	ლექცია/სემინარი - სიმფონია-ლექსიკონები. ბიბლიის სიმფონია-ლექსიკონი; ძველი ენების ლექსიკონები; მონათესავე ენების შედარებითი ლექსიკონები	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 9 www.margaliti.com
14	ლექცია/სემინარი - ძველი ენების ლექსიკონები; მონათესავე ენების შედარებითი ლექსიკონები	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 9 www.margaliti.com

15	ლექცია/სემინარი - ენციკლოპედიები და თეზაურუსები;	ელექტრონული სალექციო კურსი: ლექცია 10 <a href="http://www.margaliti.com">www.margaliti.com</a>
----	--	--